საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
ბრძანება №235/ნ
2012 წლის 6 ნოემბერი ქ. თბილისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თ[1] ქვეპუნქტის, ,,საქართველოს უმაღლეს განათლებაში კვლევის ტექნოლოგიების დანერგვის და განვითარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 ივნისის №203 დადგენილებისა და ,,საქართველოს უმაღლეს განათლებაში კვლევის ტექნოლოგიების დანერგვის და განვითარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 ივნისის №203 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 10 ოქტომბრის №426 დადგენილების მე-2 მუხლის საფუძველზე, *ვბრძანებ:*

მუხლი 1

დამტკიცდეს ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანდართული წესდება.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი *გიორგი მარგველაშვილი*

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. უნივერსიტეტის წესდების რეგულირების სფერო

ეს წესდება განსაზღვრავს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) სტატუსს, მიზნებსა და ამოცანებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, მართვის ორგანოებსა და პერსონალს, მათი არჩევის წესსა და უფლება-მოვალეობებს და უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2. უნივერსიტეტის სტატუსი

1. უნივერსიტეტის სამართლებრივი ფორმაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

2. უნივერსიტეტი არის სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

3. უნივერსიტეტის დამფუძნებელია სახელმწიფო, რომელსაც წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

4. უნივერსიტეტის სრული სახელწოდებაა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

5. უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის 3–5.

6. უნივერსიტეტს აქვს ოფიციალური ბეჭედი, საბანკო ანგარიშები და ოფიციალური ვებგვერდი – www.iliauni.edu.ge.

7. უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა არის info@iliauni.edu.ge.

მუხლი 3. უნივერსიტეტის მიზნები და ამოცანები

1. უნივერსიტეტის მიზნებია:

ა) ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;

ბ) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;

გ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;

დ) სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება;

ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.

2. თავისი მიზნების შესასრულებლად უნივერსიტეტი:

ა) ამზადებს პიროვნებას ისეთი პროფესიული მოღვაწეობისათვის, რომელიც მოითხოვს სამეცნიერო ცოდნისა და მეცნიერული მეთოდების გამოყენებას;

ბ) ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;

გ) ხელს უწყობს სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას;

დ) ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;

ე) ხელს უწყობს თავის ფარგლებში სპორტის განვითარებას;

ვ) თანამშრომლობს საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;

ზ) ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სტუდენტთა და პროფესორთა ურთიერთგაცვლას;

თ) სწავლის, სწავლებისა და პროფესიული განვითარების მეშვეობით ემსახურება მეცნიერების განვითარებას თავისუფალ, დემოკრატიულ და სოციალური სამართლიანობის გარემოში;

ი) ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელებას;

კ) უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღია ხასიათს, სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის აკადემიურ თავისუფლებას, უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებისა და მათი შესრულების კონტროლის პროცესში, უნივერსიტეტის მართვისა და ამ დაწესებულებაში კონკურსების საჯაროობასა და გამჭვირვალობას, უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის, აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით;

ლ) ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე პროფესიული მომზადების ან/და გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამებს/კურსებს;

მ) ახორციელებს ინოვაციურ და ფუნდამენტურ კვლევებს;

ნ) ახორციელებს საგამომცემლო საქმიანობას, აქვეყნებს ორიგინალურ თუ თარგმნილ სახელმძღვანელოებსა და კვლევებს;

ო) ახორიციელებს დამხმარე ეკონომიკურ საქმიანობას;

პ) თავისი ბიუჯეტის ნაწილს ახმარს სამეცნიერო კვლევების განვითარებას;

ჟ) ამყარებს საუნივერისტეტო სამეცნიერო კავშირებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ;

რ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აფუძნებს კერძო სამართლის იურიდიულ პირებს;

ს) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. უნივერსიტეტის სიმბოლიკა

1. უნივერსიტეტს აქვს საკუთარი სიმბოლიკა: ჰიმნი, დროშა და გერბი. დროშაზე გამოსახულია გერბი. გერბი წარმოადგენს ოთხველიან ფარს.

2. გერბი შედგება შემდეგი ველებისაგან:

ა) პირველი ლაჟვარდოვანი ველი, რომელზეც უნივერსიტეტის დაარსებისას მასში არსებული ექვსი ფაკულტეტის აღსანიშნავად გამოსახულია ექვსი ვერცხლის (თეთრი) გადაშლილი წიგნი. წიგნებზე უნივერსიტეტის საქმიანობის საფუძვლების: აკადემიური, სინდისისა და არჩევანის თავისუფლების ნიშნად, სამჯერ არის გამოსახული წარწერა „თავისუფლება“;

ბ) მეორე მეწამული ველი, რომელსაც დიდი სწორი ჯვრის ფორმა აქვს. მის მიერ შემოსაზღვრულ მეოთხედებში ოთხი მეწამულივე ბოლნურ-კაცხური ჯვარია. გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო დროშა;

გ) მესამე ველი, რომელზედაც ანდრიას ჯვრისებურად გადაჯვარედინებული, ნახევრად ვერცხლის და ნახევრად მეწამული ფერის ორი გასაღები აღნიშნავს უნივერსიტეტის მიერ სწავლების ხერხების ფლობას;

დ) მეოთხე ლაჟვარდოვანი (ლურჯი) ველი, რომელზეც გამოსახულია სამი მეწამული და ქრცვინის (დედალოსი, ყარყუმი) ბეწვშემოტარებული პროფესორის ქუდი, რაც ორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების: თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური და თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტების წარსულს, მათ გაერთიანებას და ახალი უნივერსიტეტის მომავალს აღნიშნავს.

3. საგერბო ფარის ქვეშ განთავსებულია სადევიზო ბაფთა. სადევიზო ბაფთაზე ლათინურად წერია „LIGAMUS“, რაც ნიშნავს „ჩვენ ვაერთიანებთ“. წარწერა ხაზს უსვამს უნივერსიტეტის მოწოდებას, გააერთიანოს სწავლება და კვლევა, თავი მოუყაროს არსებულ ცოდნას, შექმნას ახალი ცოდნა და გადასცეს იგი სტუდენტებსა და საზოგადოებას.

თავი II უნივერსიტეტის სტრუქტურა

მუხლი 5. უნივერსიტეტის სტრუქტურა

1. უნივერსიტეტის სტრუქტურა შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისაგან – ფაკულტეტებისაგან, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისაგან – კვლევითი ინსტიტუტებისაგან (შემდგომში – ინსტიტუტი), ლაბორატორიებისაგან და კვლევითი ცენტრებისაგან, აგრეთვე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისა და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან – რექტორის აპარატისაგან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატისაგან, კანცელარიისაგან და მართვის ორგანოების სამდივნოებისაგან.

2. უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) (შემდგომში – წარმომადგენლობითი საბჭო).

3. უნივერსიტეტის ფაკულტეტების, ინსტიტუტების, ლაბორატორიების და კვლევითი ცენტრების შექმნის, გარდაქმნის და გაუქმების გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

4. დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს და მათ დებულებებს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო:

5. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ზედიზედ სამჯერ უნივერსიტეტის ფაკულტეტების, ინსტიტუტების, ლაბორატორიების და კვლევითი ცენტრების შექმნის, გარდაქმნის ან/და გაუქმების შესახებ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, წარმომადგენლობით საბჭოს წევრთა 2/3-ს წილისყრით ვადამდე უწყდება უფლებამოსილება.

მუხლი 6. ფაკულტეტი

1. უნივერსიტეტის ფაკულტეტის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან/და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

2. ფაკულტეტს შეიძლება ჰქონდეს ცენტრები სხვადასხვა საგანმანათლებლო და ჰუმანიტარული მიზებისათვის.

3. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია: ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 7. ინსტიტუტი

1. ინსტიტუტი აწარმოებს ფუნდამენტურ და გამოყენებით სამეცნიერო კვლევებს.

2. ინსტიტუტს აქვს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამა, რომელიც შედგება რამდენიმე პროექტისაგან.

3. ინსტიტუტში გაერთიანებულნი არიან უნივერსიტეტის პროფესორები და მკვლევარები.

4. ინსტიტუტის მართვის ორგანოებია: ინსტიტუტის დირექტორი/დირექტორები და ინსტიტუტის საბჭო, რომელიც შედგება ინსტიტუტში გაერთიანებული ყველა პროფესორისაგან და მკვლევარისაგან.

5. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით პროექტს ადგენენ უნივერსიტეტის პროფესორები და/ან მკვლევარები, რომლებიც ქმნიან მომავალი ინსტიტუტის საბჭოს. ინსტიტუტის საბჭო ითანხმებს ინსტიტუტის დირექტორის მიერ შემუშავებულ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამას, ირჩევს მომავალი ინსტიტუტის დირექტორს და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. ინსტიტუტის საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. საბჭო უფლებამოსილია თუკი საბჭოს სხდომას ესწრება ინსტიტუტის წევრების 2/3.

6. ინსტიტუტის საბჭო ინსტიტუტის დირექტორს ირჩევს პირველივე სხდომაზე.

7. თუ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამა შედგება რამდენიმე თანაბარი მნიშვნელობის პროექტისაგან, შესაძლებელია არჩეულ იქნეს ინსტიტუტის რამდენიმე დირექტორი.

მუხლი 8. კვლევითი ცენტრი

1. კვლევითი ცენტრი აწარმოებს ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს.

2. კვლევით ცენტრს აქვს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომელიც არ წარმოადგენს რომელიმე ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამის ჰომოგენურ ნაწილს, მაგრამ ამ პროექტს და მის კვლევით შედეგებს აქვს ან შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისათვის.

3. კვლევით ცენტრში გაერთიანებულნი არიან პროფესორები და მკვლევარები;

4. კვლევითი ცენტრი იქმნება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით და მტკიცდება წარმომადგენლობით საბჭოზე;

5. კვლევითი ცენტრის მართვის ორგანოებია: კვლევითი ცენტრის დირექტორი და კვლევითი ცენტრის საბჭო, რომელიც შედგება კვლევითი ცენტრის ყველა პროფესორისაგან და მკვლევარისაგან.

6. სამეცნიერო-კვლევით პროექტს, კვლევითი ცენტრის საბჭოსთან შეთანხმებით ადგენს კვლევითი ცენტრის დირექტორი და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 9. ლაბორატორია

1. უნივერსიტეტში არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების ოპტიმალური გამოყენების მიზნით იქმნება ლაბორატორია, რომლის დირექტორს ნიშნავს აკადემიური საბჭო.

2. ლაბორატორიის დირექტორი არის ლაბორატორიის მმართველი სუბიექტი.

3. ლაბორატორიის მიზანია ინსტიტუტების, კვლევითი ცენტრების, უნივერსიტეტის პროფესორების, მკვლევარების, მასწავლებლებისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ექსპერიმენტალური მხარის განხორციელება და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაგეგმვაში მეთოდოლოგიური დახმარება.

4. ლაბორატორიის მიზნების განსახორციელებლად, ლაბორატორიის დირექტორი ყოველი წლის დასაწყისში, უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებთან, პროფესორებთან, მკვლევარებთან და მასწავლებლებთან კონსულტაციების შედეგად, ადგენს ლაბორატორიის მუშაობის განრიგს და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 10. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

1. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არის უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული.

2. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიზნებია:

ა) უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის საინფორმაციო მოთხოვნების შესწავლა-ანალიზი, ამ მოთხოვნების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი მოქმედებების დაგეგმვა და განხორციელება;

ბ) უნივერსიტეტის ზოგადი და სპეციალიზებული საინფორმაციო რესურსებისა და მომსახურების განვითარება-განახლების პროგრამების/პროექტების შემუშავება და განხორციელება;

გ) უნივერსიტეტში საინფორმაციო წიგნიერების განვითარება – ამ მიზნით სხვადასხვა სასწავლო და კვლევითი პროგრამების/პროექტების შემუშავება და მათი განხორციელება.

თავი IIIუნივერსიტეტის მართვის ორგანოები და მათი უფლებამოსილება

მუხლი 11. უნივერსიტეტის მართვის პრინციპები

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

ა) უნივერსიტეტის გადაწყვეტილებების, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშებისა და ბრძანებების საჯაროობასა და მათ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისათვის;

ბ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას;

გ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში;

დ) თანასწორ მოპყრობას განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა;

ე) უნივერსიტეტში არჩევნების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას, კონკურსების საჯაროობას.

2. ამ წესდებითა და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებებით არ შეიძლება დადგინდეს ამ პრინციპების შემზღუდავი ნორმები.

მუხლი 12. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები

1. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

2. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია: ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

3. ინსტიტუტის მართვის ორგანოებია: ინსტიტუტის დირექტორი და ინსტიტუტის საბჭო.

4. კვლევითი ცენტრის მართვის ორგანოებია: კვლევითი ცენტრის დირექტორი და კვლევითი ცენტრის საბჭო.

5. ლაბორატორიის მმართველი სუბიექტია ლაბორატორიის დირექტორი.

მუხლი 13. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

1. აკადემიური საბჭო:

ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას;

ბ) ფაკულტეტების წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს;

გ) ინსტიტუტების, ლაბორატორიების, კვლევითი ცენტრების წარდგინებით ამტკიცებს სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

დ) ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას;

ე) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს – რექტორს;

ვ) მონაწილეობს უნივერსიტეტის წესდების, სტრუქტურული ერთეულების დებულებების, ბიუჯეტისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის წარმომადგენლობით საბჭოში განხილვაში;

ზ) სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, აგრეთვე ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;

თ) ადგენს სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული უმაღლესი და პროფესიული განათლების კრედიტების აღიარების წესს;

ი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით, ამტკიცებს სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტებს სამაგისტრო გამოცდებისათვის, აგრეთვე ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;

კ) ქმნის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოებს;

ლ) წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურას;

მ) ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ნ) გადაწყვეტილებას იღებს საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ;

ო) ირჩევს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის (ბიბლიოთეკების) ხელმძღვანელს და ამტკიცებს ბიბლიოთეკის სამუშაო, სასწავლო და კვლევით პროგრამებს;

პ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით, ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს;

ჟ) თავისი შემადგენლობიდან ირჩევს აკადემიური საბჭოს მდივანს, რომელიც პასუხისმგებელია აკადემიური საბჭოს ოქმების შედგენაზე;

რ) ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, ამტკიცებს უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების გავლის წესს;

ს) იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის მიერ კერძო სამართლის (სამეწარმეო (კომერციული) და არასამეწარმეო (არაკომერციული)) იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ. სამეწარმეო იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ტ) იღებს გადაწყვეტილებას ფაკულტეტის, ინსტიტუტის, ლაბორატორიის, კვლევითი ცენტრის შექმნის/გაუქმების/გარდაქმნის თაობაზე და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

უ) იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის, ფაკულტეტის 65 წელს მიღწეული პირის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესაძლებლობის თაობაზე აკადემიური საბჭოს სიითი შემადგენლობის ორი მესამედით;

ფ) ახორციელებს ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მასზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

2. აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება აკადემიური საბჭოს ოქმით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,უ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინადადებების წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენის გადაწყვეტილებას აკადემიური საბჭო იღებს წევრთა 2/3-ის თანხმობით.

მუხლი 14. აკადემიური საბჭოს სხდომის მომზადება და წარმართვა

1. აკადემიური საბჭოს სხდომას იწვევს და თავმჯდომარეობს რექტორი. აკადემიური საბჭოს სხდომა მოიწვევა რექტორის ინიციატივით ან აკადემიური საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მიერ.

2. აკადემიური საბჭოს წევრებს წინასწარ უნდა ეცნობოთ სხდომის ჩატარების დროის, ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ.

3. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი მაინც.

4. აკადემიური საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი მაინც, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. აკადემიური საბჭოს ყველა სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) მართვის ორგანოს დასახელება;

ბ) სხდომის ჩატარების დრო და ადგილი;

გ) სხდომის თავმჯდომარისა და დამსწრე წევრების ვინაობა;

დ) განხილვის საგანი;

ე) კენჭისყრის შედეგები;

ვ) მიღებული გადაწყვეტილება.

6. აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 15. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილება

წარმომადგენლობითი საბჭო:

ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს;

ბ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესსა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;

გ) ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს და მდივანს;

დ) რეგენტთა საბჭოს წარდგინებით, განიხილავს და წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დამსწრე წევრთა უმრავლესობით ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

ე) ამტკიცებს უნივერსიტეტის სტრუქტურას ამ წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად;

ვ) უფლებამოსილია, მოტივირებული წარდგინებით მიმართოს რეგენტთა საბჭოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გათავისუფლების მოთხოვნით;

ზ) ამტკიცებს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

თ) ამტკიცებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

ი) ამტკიცებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

კ) ამტკიცებს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებას კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ;

ლ) ამტკიცებს აკადემიური საჭოს გადაწყვეტილებას ფაკულტეტის, ინსტიტუტის, კვლევითი ცენტრის, ლაბორატორიის შექმნის/გაუქმების/გარდაქმნის თაობაზე;

მ) განიხილავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიურ ანგარიშს;

ნ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 16. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მომზადება და წარმართვა

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა მოიწვევა წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის (შემდგომში – სპიკერი) ინიციატივით ან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მიერ.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს სხდომის თავმჯდომარე.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს წინასწარ უნდა ეცნობოთ სხდომის ჩატარების დროის, ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ. დღის წესრიგი განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

4. წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი მაინც.

5. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი მაინც, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. წარმომადგენლობითი საბჭოს ყველა სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) მართვის ორგანოს დასახელება;

ბ) სხდომის დრო და ადგილი;

გ) სხდომის თავმჯდომარისა და დამსწრე წევრების ვინაობა;

დ) განხილვის საგანი;

ე) კენჭისყრის შედეგები;

ვ) მიღებული გადაწყვეტილება.

7. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 17. რექტორი

1. რექტორი არის უნივერსიტეტის ხელმძღვანელი, უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს უნივერსიტეტს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებში.

2. რექტორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს.

3. რექტორი უფლებამოსილია, უნივერსიტეტის სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები. იმ შემთხვევაში, თუ გარიგებისა და შეთანხმების დადება დაკავშირებულია ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებთან, მათ ხელს აწერს აგრეთვე ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად, რექტორი გამოსცემს ბრძანებებს აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ და საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად დებს ან წყვეტს მათთან შრომით ხელშეკრულებებს.

5. რექტორი შესაბამისი ბრძანებით სამსახურში იღებს და ათავისუფლებს მასწავლებელთა და ამ წესდების 48-ე მუხლის მე-6 პუნქტითა და 50-ე მუხლით გათვალისწინებულ პერსონალს და საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად დებს ან წყვეტს მათთან შრომით ხელშეკრულებებს.

6. რექტორი აღასრულებს ამ წესდების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტისა და მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს.

მუხლი 18. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილება

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელს რეგენტთა საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადა არის 4 წელი.

3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველი ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების სფეროში, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტს საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში.

4. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:

ა) ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას;

ბ) უფლებამოსილია, უნივერსიტეტის სახელით და უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესაბამისად, დადოს ფინანსური და ეკონომიკური გარიგებები;

გ) ადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტუქტურას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

დ) ადგენს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, მისი შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ე) სამსახურში იღებს და ათავისუფლებს დამხმარე პერსონალს და დებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს;

ვ) ამზადებს მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტს, წარმომადგენლობით საბჭოსთან შეთანხმებით და დასამტკიცებლად წარუდგენს რეგენტთა საბჭოს;

ზ) ამზადებს შესრულებული სამუშაოს ყოველწლიურ ანგარიშს და დასამტკიცებლად წარუდგენს რეგენტთა საბჭოს;

თ) განსაზღვრავს მასწავლებელთა, ამ წესდების 48-ე მუხლის მე-6 პუნქტითა და 50-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პერსონალის შრომის ანაზღაურების წესსა და ოდენობას;

ი) გამოსცემს ბრძანებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

კ) პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე და პასუხისმგებელია უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე;

ლ) უფლებამოსილია ამ წესდებით გათვალისწინებული დამხმარე პერსონალის გარდა, გარკვეულ ამოცანათა შესასრულებლად უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში შტატგარეშე დამხმარე პერსონალის სახით, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. შტატგარეშე დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების წესს, მათი შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს განსაზღვრავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

მ) ასრულებს ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

5. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია წარმომადგენლობითი საბჭოსა და რეგენტთა საბჭოს წინაშე.

მუხლი 19. რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების დელეგირება

1. რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილნი არიან, მათი არყოფნის ან/და მათ მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელების უფლება მიანიჭონ უნივერსიტეტში დასაქმებულ სხვა პირს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების უფლების მინიჭება ფორმდება რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გაცემული მინდობილობით, რომელშიც ზუსტად მიეთითება, თუ რომელი უფლებამოსილების განხორციელების უფლება აქვს პირს, აგრეთვე მინდობილობის მოქმედების ვადა.

3. ისეთი უფლებამოსილების განხორციელების უფლების მინიჭება, რომლისთვისაც საჭიროა რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი მინდობილობა, უნდა გაფორმდეს ერთობლივი მინდობილობით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. უნივერსიტეტში დასაქმებული სხვა პირისათვის რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ თავისი უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, რექტორს ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა იმ პირის მიერ განხორციელებული ყველა ქმედებისათვის, რომელსაც რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების განხორციელების უფლება მიენიჭა ამ მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 20. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, აგრეთვე მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხი ექვემდებარება სისტემატურ შეფასებას, რომელშიც მონაწილეობენ აგრეთვე უნივერსიტეტის სტუდენტები და რომლის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

2. უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც:

ა) სისტემატურად აფასებს უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო და კვლევით პროცესებს:

ბ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სწავლების ხარისხს სწავლის, სწავლებისა და შეფასების ახალი მეთოდების დანერგვით;

გ) სისტემატურად აფასებს უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხს;

დ) ამზადებს უნივერსიტეტს პროგრამული აკრედიტაციისათვის.

3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდრო კავშირს ამყარებს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.

4. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განსაზღვრავს ხარისხის კონტროლის კრიტერიუმებსა და მათი გამოყენების მეთოდიკას. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო და კვლევითი პროცესების შეფასებისას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კრიტერიუმებითა და მათი გამოყენების მეთოდებით.

5. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას.

მუხლი 21. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომელიც შედგება:

ა) ფაკულტეტის ყველა სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორისაგან და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან ან

ბ) ფაკულტეტის ყოველ 10 აკადემიურ პერსონალზე არჩეული ერთი წარმომადგენლისაგან იმ შემთხვევაში, თუ ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის რაოდენობა აღემატება 30-ს და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებისაგან.

2. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრისას, ფაკულტეტი უფლებამოსილია გააკეთოს არჩევანი ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებს შორის.

3. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით, მაგრამ არ შეიძლება იყოს ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

4. ფაკულტეტის საბჭო:

ა) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტს;

ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას და საგანმანათლებლო პროგრამებს;

დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ე) შეიმუშავებს წინადადებებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შესაქმნელად, ასევე, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ვ) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;

ზ) ირჩევს ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს;

თ) უფლებამოსილია, ფაკულტეტის დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, წევრთა არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;

ი) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

5. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით.

მუხლი 22. ფაკულტეტის დეკანი

ფაკულტეტის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურად წარმართვას;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას და საგანმანათლებლო პროგრამებს;

გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს;

ვ) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

ზ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;

თ) წარმოადგენს ფაკულტეტს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

ი) ადგენს ფაკულტეტის საქმისწარმოების წესს;

კ) მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში დებს ხელშეკრულებებს ფაკულტეტის სახელით;

ლ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 23. ინსტიტუტის საბჭო

1. ინსტიტუტის საბჭოში შედის მასში გაერთიანებული ყველა პროფესორი და მკვლევარი.

2. ინსტიტუტის საბჭო:

ა) ღია კენჭისყრით ირჩევს ინსტიტუტის დირექტორს (დირექტორებს);

ბ) განიხილავს და შეიმუშვებს რეკომენდაციებს დირექტორის (დირექტორების) მიერ წარმოდგენილ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამასთან დაკავშირებით;

გ) ითანხმებს ინსტიტუტის დირექტორის (დირექტორების) მიერ შემუშავებულ ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს;

დ) შეიმუშავებს რეკომენდაციებს ინსტიტუტის ახალი წევრების კანდიდატურებისა და მათთდამი წასაყენებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით;

ე) ინსტიტუტის დირექტორთან (დირექტორებთან) ერთად შეიმუშავებს აკადემიურ საბჭოზე წარსადგენ ინსტიტუტის დებულების პროექტს.

მუხლი 24. ინსტიტუტის დირექტორი (დირექტორები)

1. ინსტიტუტის დირექტორად შეიძლება არჩეულ იქნას სრული ან ასოცირებული პროფესორი.

2. ინსტიტუტის დირექტორი (დირექტორები):

ა) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის საქმიანობას;

ბ) აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს, ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამას და ინსტიტუტის დებულებას;

გ) ყოველი წლის ბოლოს აკადემიურ საბჭოს წარუდგენს საქმიანობის წლიურ ანგარიშს.

მუხლი 25. კვლევითი ცენტრის საბჭო

1. კვლევითი ცენტრის საბჭოში შედის მასში გაერთიანებული ყველა პროფესორი და მკვლევარი.

2. კვლევითი ცენტრის საბჭო:

ა) განიხილავს და შეიმუშვებს რეკომენდაციებს კვლევითი ცენტრის დირექტორის მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო-კვლევით პროექტთან დაკავშირებით;

ბ) ითანხმებს კვლევითი ცენტრის დირექტორის მიერ შემუშავებულ კვლევითი ცენტრის ბიუჯეტის პროექტს;

გ) შეიმუშავებს რეკომენდაციებს კვლევითი ცენტრის ახალი წევრების კანდიდატურებისა და მათდამი წასაყენებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით;

დ) კვლევითი ცენტრის დირექტორთან ერთად შეიმუშავებს აკადემიურ საბჭოზე წარსადგენ კვლევითი ცენტრის დებულების პროექტს.

მუხლი 26. კვლევითი ცენტრის დირექტორი

1. კვლევითი ცენტრის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიური საბჭო. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, კვლევითი ცენტრის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად შესაძლებელია გამოცხადდებს კონკურსი;

2. კვლევითი ცენტრის დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს კვლევითი ცენტრის საქმიანობას;

ბ) აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს კვლევითი ცენტრის ბიუჯეტის პროექტს და სამეცნიერო-კვლევით პროექტს;

გ) ყოველი წლის ბოლოს აკადემიურ საბჭოს წარუდგენს საქმიანობის წლიურ ანგარიშს.

მუხლი 27. ლაბორატორიის დირექტორი

1. ლაბორატორიის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიური საბჭო. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება წევრთა უბრალო უმრავლესობით. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ლაბორატორიის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად შესაძლებელია გამოცხადდეს კონკურსი;

2. ლაბორატორიის დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს ლაბორატორიის საქმიანობას;

ბ) აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს ლაბორატორიის ბიუჯეტის პროექტს, სამეცნიერო-კვლევით გეგმას და ლაბორატორიის დებულებას;

გ) ყოველი წლის ბოლოს აკადემიურ საბჭოს წარუდგენს საქმიანობის წლიურ ანგარიშს.

მუხლი 28. სადისერტაციო საბჭო

1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება აკადემიური საბჭოს მიერ.

2. სადისერტაციო საბჭოების შედგენისა და თავმჯდომარის არჩევის წესი განისაზღვრება ინსტიტუტების, ლაბორატორიების და კვლევითი ცეტრების წარდგინებით და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების მიერ ჩატარებული სიტუაციური ანალიზის საფუძველზე აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.

3. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის (ების) ყველა სრული და ასოცირებული პროფესორისაგან.

4. სადისერტაციო საბჭოში შესაძლებელია მოწვეულ იქნეს შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

5. სადისერტაციო საბჭო მოქმედებს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად და დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს მეცნიერების შესაბამის დარგებში.

6. უნივერსიტეტი უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დოქტორანტურის ან/და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.

მუხლი 29. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. უნივერსიტეტის ფაკულტეტზე სასწავლო მუშაობის, აგრეთვე მისი აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს ფაკულტეტის დებულების შესაბამისად.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამყარებს მჭიდრო კავშირს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.

3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

ა) უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით ადგენს ფაკულტეტზე სასწავლო მუშაობის შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმებს;

ბ) ამ მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე ახდენს სასწავლო პროცესების მონიტორინგს და შეფასებას;

გ) შეიმუშავებს წინადადებებს სასწავლო პროცესების ოპტიმიზაციის მიზნით საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით;

დ) უზრუნველყოფს ფაკულტეტის თვითშეფასებას აკრედიტაციის პროცესისთვის;

ე) რეგულარულად აცნობს თავისი მუშაობის შედეგებს ფაკულტეტის საბჭოს.

4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წინაშე.

თავი IV უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევის წესი

მუხლი 30. არჩევნების დანიშვნა

აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნებს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს ბრძანებას, ხოლო რექტორის, და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნებს ნიშნავს აკადემიური საბჭო თავისი გადაწყვეტილებით.

მუხლი 31. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის წესი

1. წარმომადგენლობითი საბჭო აირჩევა ფაკულტეტებიდან ან/და ინსტიტუტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა მინიმალური რაოდენობა არ შეიძლება იყოს აკადემიური საბჭოს წევრთა ორმაგ რაოდენობაზე ნაკლები.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევა ხდება უნივერსიტეტის ფარგლებში საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით,

უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებით დადგენილი წესით, რომელსაც შეიმუშავებს აკადემიური საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგნელობით საბჭოს.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადა ოთხი წელია.

4. საბჭოში ყოველი ფაკულტეტიდან აირჩევა ერთი სტუდენტი.

5. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) ფაკულტეტს, სადაც აკადემიური პერსონალის რაოდენობა აღემატება 100-ს, წარმომადგენლობით საბჭოში აირჩევა 4 აკადემიური პერსონალი;

ბ) ფაკულტეტს, სადაც აკადემიური პერსონალის რაოდენობა აღემატება 20-ს, მაგრამ ნაკლებია 100-ზე, წარმომადგენლობით საბჭოში აირჩევა 3 აკადემიური პერსონალი;

გ) ფაკულტეტზე, სადაც აკადემიური პერსონალის რაოდენობა ოცზე ნაკლებია, წარმომადგენლობით საბჭოში აირჩევა 1 აკადემიური პერსონალი;

დ) ყოველი ფაკულტეტიდან წარმომადგენლობით საბჭოში აირჩევა სტუდენტთა ერთი წარმომადგენელი.

6. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში შედის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის (ბიბლიოთეკების) წარმომადგენელი.

7. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრები.

8. წარმომადგენლობითი საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საბჭოს თავმჯდომარესა და მდივანს.

9. წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის უფლებამოსილების ვადა წარმოადგენს საბჭოს უფლებამოსილების ვადას.

მუხლი 32. აკადემიური საბჭოს არჩევის წესი

1. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება უნივერსიტეტის ყოველი ფაკულტეტიდან თითო წარმომადგენლით.

2. აკადემიური საბჭოს წევრი ფაკულტეტიდან აირჩევა 4 წლის ვადით.

3. აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტის წარმომადგენლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის დარჩენილი ვადით, აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა წარმომადგენელი შესაბამისი ფაკულტეტიდან.

4.ფაკულტეტის საბჭო ირჩევს ერთ წარმომადგენელს აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში,

5. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი, გარდა ასისტენტ-პროფესორისა.

6. აკადემიურ საბჭოს ვადამდე უწყდება უფლებამოსილება უნივერსიტეტის მიერ ზედიზედ 2-ჯერ აკრედიტაციის გაუვლელობის შემთხვევაში.

მუხლი 33. რექტორის არჩევის წესი

1. რექტორი აირჩევა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ ფარული კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. რექტორის არჩევნების ჩატარებასა და კენჭისყრის ფარულობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებით დადგენილი წესით.

2. რექტორი აირჩევა 4 წლის ვადით.

3. აკადემიური საბჭო რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რექტორის მოვალეობის შესრულებას აკისრებს იმავე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრულ ან ასოცირებულ პროფესორს.

4. რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რექტორის თანამდებობის დაკავება ხორციელდება უფლებამოსილებაშეწყვეტილი რექტორის დარჩენილი ვადით, ამ წესდებითა და უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 34. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევის წესი

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატურის შერჩევის კრიტერიუმებსა და წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხას ამტკიცებს აკადემიური საბჭო შესაბამისი აქტით.

2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ირჩევს აკადემიური საბჭო.

3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება მოხდება ამ მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 35. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევის წესი

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ფაკულტეტის საბჭოებს წარუდგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელების კანდიდატურებს.

2. ფაკულტეტს შეიძლება წარედგინოს ერთი ან ერთზე მეტი კანდიდატურა.

3. ფაკულტეტის საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რაც ფორმდება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 36. ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესი

1. ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის დეკანს ირჩევს ოთხი წლის ვადით. დეკანი აირჩევა ფაკულტეტის საბჭოს მიერ სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია და ავტობიოგრაფია.

2. დეკანი აირჩევა ფარული კენჭისყრით. არჩევნებს უზრუნვეყოფის უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

მუხლი 37. საარჩევნო კომისიები

1. უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების მიზნით იქმნება უნივერსიტეტის, საარჩევნო კომისია.

2. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

3. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის წევრებს ნიშნავს რექტორი. კომისიის წევრად შეიძლება მოწვეულ იქნეს აგრეთვე საზოგადოების წარმომადგენელი.

4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება განისაზღვრება უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებით, რომელსაც აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 38. ინტერესთა შეუთავსებლობა

უნივერსიტეტის, ფაკულტეტის და ინსტიტუტის საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის წევრი, აგრეთვე მართვის ორგანოს წევრობის კანდიდატი.

თავი V უნივერსიტეტის პერსონალი

მუხლი 39. პერსონალი

უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე, მათ შორის, მასწავლებელთა თანამდებობები.

მუხლი 40. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან.

2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

3. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს.

4. პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 41. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ასისტენტ-პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და სრული პროფესორის თანამდებობის დაკავება შესაძლებელია დოქტორის ხარისხის ფლობის გარეშე.

3. კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

4. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საბუთების მიღებამდე არა ნაკლებ 1 თვით ადრე. საბუთების მიღება გრძელდება არა ნაკლებ 2 და არაუმეტეს 3 კვირისა. კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 1 და არაუგვიანეს 2 თვის ვადაში.

5. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, გამოქვეყნდეს პრესაში და საბუთების მიღების ვადის ამოწურვამდე განთავსდეს უნივერსიტეტში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. განცხადებაში აღინიშნება კონკურსანტების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, განცხადებების მიღების ბოლო ვადა, წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა და კონკურსის ჩატარებისა და შედეგების გამოქვეყნების თარიღი.

6. აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ მიმართვას აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ფაკულტეტის დეკანი ან ინსტიტუტის დირექტორი, ან ცენტრის ხელმძღვანელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

7. აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ მიმართვას აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ფაკულტეტის დეკანი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

8. აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსს ატარებს ფაკულტეტის საბჭო ან აკადემიური საბჭოს მიერ დანიშნული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან შემდგარი კომისია. კონკურსის შედეგად აკადემიურ თანამდებობაზე დასანიშნად შერჩეულ კანდიდატებს დეკანი (კომისიის თავმჯდომარე) დასანიშნად წარუდგენს რექტორს.

9. ამ მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტები არ გამოიყენება ისეთ ახალდაფუძნებულ ფაკულტეტზე კონკურსის გამოცხადებისას, სადაც არ არის არჩეული ფაკულტეტის საბჭო. ასეთ ფაკულტეტზე კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ცხადდება და ტარდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 42. აკადემიური პერსონალის უფლებები და შრომითი ურთიერთობები

1. აკადემიური პერსონალის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო სწავლებისა და კვლევის თავისუფლებას და ქმნის მისი საქმიანობისათვის შესაბამის პირობებს.

მუხლი 43. პერსონალის ვალდებულება დაესწრონ უნივერსიტეტის მიერ გამართულ ცერემონიებსა და პრეზენტაციებს

1. საუნივერსიტეტო ცერემონიებსა და პრეზენტაციებზე დასწრება სავალდებულოა:

ა) აკადემიური საბჭოს წევრებისათვის;

ბ) წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებისათვის;

გ) ფაკულტეტის დეკანებისათვის, ინსტიტუტების, კვლევითი ცენტრების და ლაბორატორიების დირექტორებისათვის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებისათვის;

დ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის და მისი მოადგილეებისათვის;

ე) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელისათვის.

2. საუნივერსიტეტო ცერემონიის ან პრეზენტაციის ჩატარება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებს ეცნობებათ უნივერსიტეტის საზოგადოებასთან

ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ წინასწარ, მინიმუმ ორი დღით ადრე, საღამოს 5 საათამდე ელექტრონული ფოსტით ან/და სატელეფონო შეტყობინებით (ზარი და მოკლე ტექსტური შეტყობინება). თუ ადრესატს აღნიშნული საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება არ მიეწოდა, კომუნიკაცია ჩაითვლება არშემდგარად.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საკითხი განიხილება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 44. ინფორმაციის მიწოდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისათვის

1. უნივერსიტეტის პროფესორი ვალდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მის მიერ წასაკითხი ყველა კურსის სილაბუსი და კვლევით და აკადემიურ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია წარუდგინოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დადგენილ ვადებში.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია უნივერსიტეტის პროფესორებისათვის ინფორმაციის მიწოდების ვადები დაადგინოს შესაბამის ფაკულტეტთან/ინსტიტუტთან/კვლევით ცენტრთან/ლაბორატორიასთან შეთანხმებით და ამ ვადების დადგენისას ისარგებლოს გონივრულობის კრიტერიუმით და გაითვალისწინოს პროფესორების კვლევითი, აკადემიური თუ ადმინისტრაციული დატვირთვა.

3. ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის საკითხი განისაზღვრება უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით.

მუხლი 45. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლება

1. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;

გ) ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების უხეში ან სისტემატური დარღვევა;

დ) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;

ე) პენსიაზე გასვლა ან ემერიტუსის წოდების მინიჭება;

ვ) კანონმდებლობით განსაზღრული სხვა შემთხვევები.

2. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანებას გამოსცემს უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 46. აკადემიური წოდებები

აკადემიურ საბჭოს უფლება აქვს უცხო ქვეყნის მოქალაქე მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისათვის მიანიჭოს საპატიო დოქტორის წოდება.

მუხლი 47. ემერიტუსის წოდების მინიჭების წესი და პირობები

1. აკადემიურ საბჭოს უფლება აქვს, 65 წელს მიღწეულ სრულ პროფესორს მიანიჭოს ემერიტუსის წოდება. თუ პირი დანიშნულია აკადემიურ ან ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, მას ემერიტუსის წოდება მიენიჭება აკადემიურ/ადმინისტრაციულ

თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლის შემდეგ. ამ ვადის გასვლამდე ემერიტუსის წოდების მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის თანხმობით.

2. ემერიტუსის წოდების მქონე პირს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში აკადემიური ან/და ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების გარეშე.

3. ემერიტუსის წოდების მქონე პირს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო ან კვლევით დაწესებულებაში აკადემიური, ადმინისტრაციული ან სხვა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული თანამდებობის დაკავების შემთხვევაში ჩამოერთმევა ემერიტუსის წოდება და შეუწყდება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურება.

4. ემერიტუსის წოდების მქონე პირისთვის შესაბამის ფინანსურ სარგოს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 48. ადმინისტრაციული თანამდებობები და სხვა პერსონალი

1. უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი, აგრეთვე მათი მოადგილეები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. ადმინისტრაციულ თანამდებობებზე არ შეიძლება არჩეულ ან დანიშნულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი.

3. მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი.

4. მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს სასემინარო, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

5. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული უნივერსიტეტის საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა პირები.

6. უნივერსიტეტი უფლებამოსილია აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები ან კვლევითი პერსონალი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.

7. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ამ წესდებით გათვალისწინებული დამხმარე პერსონალის გარდა, გარკვეულ ამოცანათა შესასრულებლად შტატგარეშე დამხმარე პერსონალის სახით, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. შტატგარეშე დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების წესს, მათი შრომის ანაზღაურების წესსა და ოდენობას განსაზღვრავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი 49. კვლევითი პერსონალი

1. უნივერსიტეტის კვლევითი პერსონალი შედგება მკვლევარებისაგან.

2. მკვლევარების შემადგენლობას მიეკუთვნება მკვლევარი, ასოცირებული მკვლევარი და ასისტენტ მკვლევარი.

3. მკვლევარები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სამეცნიერო კვლევებს და თუ ეს შრომითი ხელშეკრულებითაა განსაზღვრული, აგრეთვე მონაწილეობენ სასწავლო პროცესის წარმართვაში.

4. მკვლევარის თანამდებობის დაკავება ხდება აკადემიური საბჭოს ან მის მიერ შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებით.

5. მკვლევარის და ასოცირებული მკვლევარის თანამდებობის დაკავება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატს აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათაბრებული სამეცნიერო ხარისხი.

მუხლი 50. მოწვეული სპეციალისტი

1. ფაკულტეტი უფლებამოსილია, აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს სასწავლო პროცესისათვის საჭირო შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი.

2. რექტორი ვალდებულია დააკმაყოფილოს ფაკულტეტის მოთხოვნა საჭირო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტისათვის შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, თუ ეს მოწვევა არ სცდება უნივერსიტეტის ბიუჯეტში ამ მიზნით გამოყოფილ ასიგნებებს და არ ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის მიზნებს და ძირითად პრინციპებს.

მუხლი 51. სტუმარი პროფესორი

1. სტუმარი პროფესორი არის მეცნიერი, რომელიც მუდმივად მუშაობს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან/და სამეცნიერო ცენტრში და მოწვევის შემთხვევაში კითხულობს ლექციებს უნივერსიტეტში სწავლების ამა თუ იმ საფეხურზე და კონსულტაციას უწევს პროფესორებს, დოქტორანტებსა და მაგისტრანტებს მიმდინარე კვლევებში ან/და უშუალოდ მონაწილეობს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

2. სტუმარი პროფესორის ლექციები უნდა შედიოდეს ფაკულტეტის სასწავლო გეგმაში.

3. სტუმარი პროფესორის სტატუსის მინიჭება ხდება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.

4. სტუმარი პროფესორის ანაზღაურება ხდება ფაკულტეტის ან/და უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.

5. უნივერსიტეტის ბიუჯეტში, წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ცალკე უნდა აისახოს სტუმარი პროფესორების შრომის ანაზღაურების და ცხოვრების ხარჯები, რომელთა განაწილებას აკადემიური საბჭო ახორციელებს ფაკულტეტებიდან შემოსული განაცხადების საფუძველზე.

6. სტუმარი პროფესორის მოწვევის შესახებ დამატებითი პირობები შეიძლება განსაზღვროს უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ და დაამტკიცოს წარმომადგენლობითმა საბჭომ.

7. თუ ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ფაკულტეტი წლის ბოლომდე ვერ აითვისებს სტუმარი პროფესორებისათვის განსაზღვრულ თანხებს, აუთვისებელი თანხა ბრუნდება უნივერსიტეტის ბიუჯეტში.

8. სტუმარი პროფესორების რაოდენობა არ გაითვალისწინება უნივერსიტეტის ინსტიტუციური აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნებისათვის.

მუხლი 52. საპატიო დოქტორი

1. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეიძლება მიენიჭოს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

2. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება ხდება უნივერსიტეტის ან/და მეცნიერების ან/და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

3. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მატარებელს შესაძლებლია, დაენიშნოს ყოველთვიური სტიპენდია ან გადაეცეს ერთჯერადი ფულადი ჯილდო.

მუხლი 53. თანამდებობრივი შეუთავსებლობა უნივერსიტეტში

1. ადმინისტრაციული თანამდებობის პირს არ შეიძლება ამ უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს სხვა ადმინისტრაციული თანამდებობა ან იყოს სხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

2. აკადემიური საბჭოს წევრს არ შეიძლება ამ უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა, გარდა რექტორისა, ან იყოს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარეს არ შეიძლება ამ უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა.

4. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურებრივი შეუთავსებლობა დამატებით განისაზღვრება აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესით, რომელსაც აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

5. აკადემიური, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის სამსახურებრივი შეუთავსებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი VI სტუდენტი

მუხლი 54. უნივერსიტეტში სტუდენტად/პროფესიულ სტუდენტად მიღება

1. უნივერსიტეტის სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი არის პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში კანონით განსაზღვრულ საგანმანათლებო საფეხურზე.

2. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

3. სტუდენტს სტატუსი უწყდება პირადი განცხადების საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობისას ან სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებისას. ამ საფუძვლით სტატუსშეწყვეტილი სტუდენტი სტუდენტის სტატუსს ვერ მოიპოვებს ილიას სახელმწიფოფო უნივერსიტეტში.

4. სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შესაბამისი დოკუმენტებითა და სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

თავი VII უნივერსიტეტის დაფინანსება, უნივერსიტეტის ქონება და სახელმწიფო კონტროლი

მუხლი 55. უნივერსიტეტის ბიუჯეტი

1. უნივერსიტეტის ბიუჯეტს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს რეგენტთა საბჭო.

2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტებთან და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად შეიმუშავებს უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს რეგენტთა საბჭოს.

3. დამტკიცებული ბიუჯეტის მუხლობრივი განწერის 15 პროცენტზე მეტის ცვლილების შემთხვევაში აუცილებელია რეგენტთა საბჭოს თანხმობა.

4. ბიუჯეტში სხვა ცვლილების შეტანა ხდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით.

მუხლი 56. უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობა

უნივერსიტეტი, ეკონომიკურ საქმიანობაზე არსებითად გადასვლის გარეშე, შეიძლება ეწეოდეს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ ეკონომიკურ საქმიანობას.

მუხლი 57. უნივერსიტეტის დაფინანსება

1. უნივერსიტეტის დაფინანსება ორიენტირებულია სწავლებასა და სამეცნიერო კვლევაზე, უნივერსიტეტისათვის კადრების მომზადებაზე, გადამზადებასა და პროფესიულ განვითარებაზე.

2. უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებია:

ა) სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტებით, სტუდენტის მიერ ან სხვა კანონიერი წყაროებიდან;

ბ) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

გ) კერძო გრანტის, შემოწირულობის სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები;

დ) საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო გრანტები;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალები.

მუხლი 58. უნივერსიტეტის ქონება

უნივერსიტეტის ქონება შედგება მისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ გადაცემული, ასევე მის მიერ საკუთარი სახსრებით შეძენილი ქონებისაგან.

მუხლი 59. უნივერსიტეტის ქონების განკარგვა

1. უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ან მისი ნაწილის გასხვისება საჭიროებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებას და რეგენტთა საბჭოს თანხმობას.

2. უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების დატვირთვა ან დროებით სარგებლობაში გაცემა საჭიროებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებას და რეგენტთა საბჭოს თანხმობას.

მუხლი 60. უნივერსიტეტის ფინანსური ანგარიშგება

უნივერსიტეტის ფინანსური ანგარიშგება ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

თავი VIII უნივერსიტეტის რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია და წესდებაში ცვლილების შეტანა

მუხლი 61. უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

2. უნივერსიტეტის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას ახორციელებს მისი დამფუძნებელი.

მუხლი 62. უნივერსიტეტის წესდების მიღების, შეცვლისა და გაუქმების უფლებამოსილება

უნივერსიტეტის წესდების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი IX გარდამავალი დებულებები

მუხლი 63. გარდამავალი დებულებები

1. ამ წესდების ძალაში შესვლის შემდეგ უნივერსიტეტის მოქმედი:

ა) აკადემიური საბჭოს შემადგენლობის უფლებამოსილება გრძელდება დარჩენილი უფლებამოსილების ვადით;

ბ) წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობისა და საბჭოს სპიკერის უფლებამოსილება გრძელდება დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

გ) რექტორის (გიგი თევზაძე, დაბადებული 1967 წლის 22 ივნისს, პირადი №0100800276, რექტორის თანამდებობაზე არჩევის აქტი: აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 მარტის სხდომის ოქმი №37) უფლებამოსილება გრძელდება დარჩენილი უფლებამოსილების ვადით და იგი ახორციელებს წინამდებარე წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს;

დ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (დავით აფრასიძე, დაბადებული 1976 წლის 15 ივნისს, პირადი №01026006248, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დამტკიცების აქტი: წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 18 ოქტომბრის ოქმი №9) უფლებამოსილება გრძელდება დარჩენილი უფლებამოსილების ვადით და იგი

ახორციელებს წინამდებარე წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს, რეგენტთა საბჭოს მიერ წარმომადგენლობითი საბჭოსათვის დასამტკიცებლად ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგენამდე. *(24.12.2012 N 254/ნ)*

2. ფაკულტეტის არჩეული დეკანების უფლებამოსილება გრძელდება დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

3. ფაკულტეტების (რომელთა დეკანები ამ წესდების ძალაში შესვლის პერიოდისათვის არჩეული არ არიან) დეკანების თანამდებობის დაკავების პროცედურა უნდა განხორციელდეს ამ წესდების ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს 12 თვისა.

4. მოქმედი ფაკულტეტების საბჭოების უფლებამოსილება გრძელდება დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

5. ამ წესდების ძალაში შესვლის დროისათვის მოქმედი აკადემიური საბჭოს წევრებზე საბჭოების წევრად ზედიზედ მხოლოდ ორჯერ არჩევის შეზღუდვა ვრცელდება მათი მიმდინარე უფლებამოსილების ვადის დასრულების შემდეგ.

6. ამ წესდებით გათვალისწინებული უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესი მიღებულ იქნეს წესდების ძალაში შესვლიდან 12 თვის ვადაში.